პროექტი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №**

2024 წლის ----- მარტი; ქალაქი ბათუმი

**„ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცვლილება იქნას შეტანილი „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებაში და განკარგულების დანართი 1-ით დამტკიცებული წესის:

ა) მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შენობა-ნაგებობის გამაგრება-რეაბილიტაციაზე არსებობს დაინტერესებული პირების თანხმობა და წარმოდგენილია განცხადება ამ წესის მე-16 მუხლის შესაბამისად.".

ბ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დაინტერესებული პირების წერილობითი თანხმობა – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, სადაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრი აცხადებს თანხმობას ავარიული სახლის გამაგრების თაობაზე (კრების თავმჯდომარის ხელმოწერის ნამდვილობა დადასტურებული უნდა იყოს სანოტარო წესით). ამასთან, თუ დაინტერესებულ პირთაგან რომელიმე სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტია, მათი თანხმობა სავალდებულო არ არის;".

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **რამაზ ჯინჭარაძე**

## განმარტებითი ბარათი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებით დამტკიცდა „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი“. აღნიშნული წესით ამოქმედდა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ავარიული და საცხოვრებლად უვარგისი შენობების სრულად ჩანაცვლება ახალი თანამედროვე სტანდარტების მქონე საცხოვრებელი სახლებით.

აღნიშნული წესით მოქმედების პერიოდში გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომელიც საჭიროებს დამატებითი პირობების განსაზღვრას და შესაბამისად მიზანშეწონილია, ცვლილება იქნას შეტანილი „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებაში და განკარგულების დანართი 1-ით დამტკიცებულ წესის:

ა) მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შენობა-ნაგებობის გამაგრება-რეაბილიტაციაზე არსებობს დაინტერესებული პირების თანხმობა და წარმოდგენილია განცხადება ამ წესის მე-16 მუხლის შესაბამისად.“.

ბ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დაინტერესებული პირების წერილობითი თანხმობა - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, სადაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრი აცხადებს თანხმობას ავარიული სახლის გამაგრების თაობაზე (კრების თავმჯდომარის ხელმოწერის ნამდვილობა დადასტურებული უნდა იყოს სანოტარო წესით). ამასთან, თუ დაინტერესებულ პირთაგან რომელიმე სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტია, მათი თანხმობა სავალდებულო არ არის;“.

**ა.ბ) პროექტის არსი:**

„ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებაში ცვლილების განხორციელება.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

პროექტის განხორციელება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე;

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი".

**დ) პროექტის ავტორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

**ე) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერი.

**ვ) განმარტებით ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**
**მუნიციპალური ქონების და სერვისების**
**მართვის სამსახურის უფროსი**
**დავით კოპინაძე**